MES 7 22 0000908353

16/08/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
შპს სკოლა ჰელიოსი
ქეთევან ვეშაპიძე - სკოლის დირექტორი;
თამარ გიგაური - სკოლის დირექტორის მოადგილე.

შპს ედისონის სახელობის სკოლა ნოვაცია
თამარ ჯანგულაშვილი - სკოლის დირექტორი

შპს ოლიმპი თბილისი +
მანუჩარ გუგეშაშვილი - სკოლის დირექტორი

შპს პეგასი
დემურ ავალიანი - დაწესებულების წარმომადგენელი

შპს ევროპული სკოლა
სოფიო ბაზაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს სკოლა ჰელიოსი
ლიანა კობესაშვილი
ცირა ნიკოლაშვილი

შპს ედისონის სახელობის სკოლა ნოვაცია
ქეთევან ბოტკოველი
მაკა დანარეიშვილი

შპს ოლიმპი თბილისი +
ხათუნა ბარაბაძე
მაკა ჭიაბერაშვილი

შპს პეგასი
ქეთევან ბოტკოველი
თამარ ჩხიკვაძე

შპს ევროპული სკოლა
ხათუნა ბარაბაძე
ირმა ხუციშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 02 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. შპს სკოლა ჰელიოსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ედისონის სახელობის სკოლა ნოვაციას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ოლიმპი თბილისი +-ის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
4. შპს პეგასის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს სკოლა ჰელიოსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა, ლიანა კობესაშვილმა და ცირა ნიკოლაშვილმა. ლიანა კობესაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 16 და 17 ივნისს. სკოლა ჰელიოსი მდებარეობდა ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე, N95ა-ში. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ვიზიტის პერიოდში ირიცხებოდა 169 მოსწავლე. ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ადამიანური რესურსის განვითარების კარგი პრაქტიკა ჰქონდა. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას არ უფიქსირდებოდა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობა, თუმცა გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით. ექსპერტ, ლიანა კობესაშვილის განცხადებით, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტების მხრიდან გაცემულ რეკომენდაციებს.
ექსპერტ, ლიანა კობესაშვილის თქმით, სკოლას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც წარმოდგენილი იყო სრული სახით. დაწესებულება სასკოლო სასწავლო გეგმას ამუშავებდა გასული წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების საფუძველზე. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაციები, რომ სკოლას საათობრივი ბადის ნაწილში გაეწერა საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობა ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლის თანახმად. ექსპერტის თქმით, დაწესებულება მე-2 კლასიდან, 2 საათიანი დატვირთვით ასწავლიდა რუსულ ენას და ექსპერტებმა აღნიშნულთან დაკავშირებითაც გასცეს რეკომენდაცია, რათა სკოლას მიეცა მოსწავლეებისთვის არჩევის საშუალება და შეეთავაზებინა კიდევ ერთი უცხო ენა. როგორც ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, მე-4 კლასიდან სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა გერმანულ და ფრანგულ ენებს. მან განაცხადა, რომ შემაჯამებელი დავალებების კომპონენტში ძირითადი ნაწილი ემსახურებოდა ფაქტობრივი ცოდნის შემოწმებას და ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რათა სკოლას უფრო მეტად კონცენტრირება მოეხდინა კომპლექსურ დავალებებზე. ექსპერტის თქმით, დაწესებულება მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებს სთავაზობდა ორ არჩევით საგანს, ხოლო მე-12 კლასში ერთს. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ სკოლას შეეთავაზებინა უფრო მეტი არჩევითი საგანი მოსწავლეების თვალსაწიერის გასაფართოვებლად. ექსპერტის განმარტებით, სკოლას ენის ფლობის დონეები გაწერილი ჰქონდა თემატურ გეგმებში. დაწესებულებას ექსპერტებმა ასევე მისცეს რჩევა, რომ ენის ფლობის დონეები გაწერილი ყოფილიყო სასკოლო სასწავლო გეგმაში.
ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ შემაჯამებელი დავალებების აღდგენასთან დაკავშირებით სკოლას გაწერილი ჰქონდა წესი, მაგრამ არ ჰქონდა გათვალისწინებული როგორ იმოქმედებდა სკოლა მობილობის შემთხვევაში.
რაც შეეხებოდა დაწესებულების მატერიალურ რესურსს, ექსპერტის განმარტებით, სკოლას იჯარის ხელშეკრულების ვადა ეწურებოდა მიმდინარე წლის 19 ივნისს. ვიზიტის პერიოდში შპს სკოლა ჰელიოსმა გააკეთა განაცხადი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რომლითაც მოითხოვა იჯარის უფლების ცვლილების რეგისტრაცია უძრავ ქონებაზე. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და 6 წლის ვადით გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება.
ექსპერტ, ლიანა კობესაშვილის განცხადებით, დაწესებულების ბიბლიოთეკა აღჭურვილი იყო წიგნადი რესურსით, ერთ სივრცეში იყო მოწყობილი სამკითხველო და წიგნადი ფონდი. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ ბიბლიოთეკის მუშაობის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ბიბლიოთეკარს ჰქონოდა სამოქმედო გეგმა, რომელიც წინასწარ ექნებოდა გაწერილი და განახორციელებდა წიგნის პოპულარიზაციისკენ მიმართულ და წიგნიერების კომპეტენციის განმავითარებელ ღონისძიებებს.
ექსპერტებმა რეკომენდაცია გასცეს სკოლის სივრცის ადაპტირებასთან დაკავშირებით, რათა ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის სრულად ადაპტირებული ყოფილიყო გარემო. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილები. ლიანა

კობესაშვილის თქმით, დაწესებულებას პირველიდან მეორე სართულზე ასასვლელად ჰქონდა მოძრავი პანდუსი, მესამე სართულისგან განსხვავებით. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ განმარტა, რომ ლაბორატორიები, სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი და ყველა სხვა მნიშვნელოვანი კაბინეტი სკოლას განთავსებული ჰქონდა შენობის პირველ და მეორე სართულზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაში სკოლა ჰელიოსს გაწერილი ჰქონდა შენობის გაფართოება, სადაც გათვალისწინებული იყო ლიფტის დამონტაჟებაც. ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ სკოლას ეზრუნა სრულად ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას სჭირდებოდა ვებ-გვერდის განახლება. მათ უნდა ჩაენაცვლებინათ ძველი ინფორმაცია ახლით. ექსპერტებმა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით გასცეს რეკომენდაცია, რომ სკოლას მშობლებისგან აეღო წერილობით ნებართვა მოსწავლეების ფოტოსურათების ვებ-გვერდზე განთავსებისთვის.

ექსპერტის განცხადებით, ექიმის კაბინეტში ხელოვნური ბარიერით არ იყო გამოყოფილი გასასინჯი სივრცე და ოთახში იდგა ორადგილიანი სავარძელი, სამედიცინო ტახტის ნაცვლად. ლიანა კობესაშვილის თქმით, არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნულ რეკომენდაციაზე სკოლა ჰელიოსს არ ჰქონდა ცვლილება წარმოდგენილი.

ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ვაკანსიას დებდა ვებ-გვერდზე და დაინტერესებულ პირებს cv-ს გადაგზავნა შეეძლოთ სკოლის მეილზე. მან განმარტა, რომ სკოლას ვაკანსია განთავსებული ჰქონდა pedagogi.ge-ზეც, მაგრამ ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ სრულ შესაბამისობაში მოეყვანათ ვაკანსიის გამოცხადებისა და კადრის მიღების წესი მოქმედ კანონმდებლობასთან. ექსპერტის თქმით, სკოლაში არ იყო გამოცემული ბრძანებები ვაკანსიის გამოცხადების შესახებ და არ იქმნებოდა ოქმები მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ, თუმცა ექსპერტმა დაამატა, რომ აღნიშნული ვაკანსიებით სკოლამ ვერ შეარჩია შესაბამისი კადრები. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას სკოლამ ცენტრში გადმოაგზავნა ვაკანსიის გამოცხადების წესი, რომელიც მოყვანილი იყო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

ექსპერტებმა ერთხმად აღნიშნეს ისიც, რომ სკოლა ორიენტირებული იყო თანამშრომლობაზე და დაწესებულებაში იყო მოსწავლის განვითარებაზე მორგებული გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რამდენი უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებელი ჰყავდა სკოლა ჰელიოსს და ასევე ის დაინტერესდა, როგორ ხვდებოდა ეტლით მოსარგებლე მოსწავლე მეორე სართულზე ან როგორ აპირებდა სკოლა ყველასთვის ადაპტირებული გარემოს შექმნას დაწესებულებაში. ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებაში პედაგოგთა საერთო რაოდენობა იყო 29. მათ შორის ერთი მოწვეული, ხუთი მაძიებელი, 15 უფროსი, ერთი წამყვანი, შემცვლელი მასწავლებლის სტატუსის მქონე კი იყო ექვსი მასწავლებელი. ექსპერტმა აქვე აღნიშნა, რომ ერთი მასწავლებელი იყო უსტატუსო. ლიანა კობესაშვილის თქმით, აღნიშნული უსტატუსო მასწავლებელი იყო უფროსი სტატუსის მქონე, მაგრამ სჭირდებოდა მასწავლებლის სახლის მხრიდან აღიარებული სტატუსი. ლიანა კობესაშვილმა სივრცის ადაპტაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პირველ სართულზე შესვლა არ წარმოადგენდა ეტლით მოსარგებლე ადამიანისთვის დაბრკოლებას. მან აღნიშნა, რომ მეორე სართულზე ასასვლელ კიბეს, მესამე სართულისგან განსხვავებით, ჰქონდა მოძრავი პანდუსი.

დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა ექსპერტ ლიანა კობესაშვილს, თუ რა საჭიროება იდგა დაწესებულებაში, რომ მესამე სართულზეც ყოფილიყო მოძრავი პანდუსი.

ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას ყველა საჭირო რესურსი ხელმისაწვდომი ჰქონდა შენობის პირველ და მეორე სართულზე, თუმცა მან აქვე დაამატა, რომ სსსმ მოსწავლეს კანონმდებლობით ჰქონდა უფლება სკოლის ნებისმიერ წერტილთან ჰქონოდა წვდომა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, ნახეს თუ არა ექსპერტებმა საბიბლიოთეკო საქმიანობის ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით რაიმე სახის დოკუმენტაცია, ასევე ჰქონდა თუ არა ბიბლიოთეკას წიგნების საცავი. პასუხად, ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განმარტა, რომ ბიბლიოთეკარის საქმიანობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ წიგნების გაცემით და დაწესებულებას არ ჰქონდა განცალკევებულად წიგნთა საცავი. ეკატერინე კვირიკაშვილის განმარტებით, რადგანაც ბიბლიოთეკა და წიგნების საცავი ერთი სივრცე იყო, ბიბლიოთეკას უნდა ჰქონოდა საევაკუაციო გასასვლელი და უწვი მასალისგან დამზადებული სტელაჟები. სკოლის დირექტორმა, ქეთევან ვეშაპიძემ აღნიშნა, რომ სტელაჟები იყო უწვი, ლამინირებული მასალისგან დამზადებული.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, შემცვლელი მასწავლებლების პოზიციაზე თუ ჰქონდა სკოლას გამოცხადებული ვაკანსია. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ვაკანსიები იყო გამოცხადებული, მაგრამ სკოლამ ვერ შეძლო შესაბამისი კვალიფიციური კადრების მოძიება.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან საბჭოს წევრებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 230 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ჰელიოსის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 230 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს სკოლა ჰელიოსს (ს/კ: 404512568) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 230 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

2. შპს ედისონის სახელობის სკოლა ნოვაციას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და მაკა ნადარეიშვილმა.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ შპს ედისონის სახელობის სკოლა ნოვაციას მისიას წარმოადგენდა ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში მოსწავლეებისათვის განათლების მიწოდება და მათი შემოქმედ და პასუხისმგებლიან პიროვნებებად აღზრდა. აღნიშნულის მისაღწევად, ექსპერტის თქმით, სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, ასევე, მოიცავდა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს. აღნიშნული მომსახურების ფარგლებში სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა კლუბი, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეებში ცოდნის გაღრმავებასა და უნარების განვითარებას მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში და პროგრამირებასა და მონაცემთა მეცნიერებაში. ექსპერტის თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო ისეთი კლუბებისა და წრეების ფუნქციონირება, როგორებიც იყო ,,მომავალი ჩვენია“, სამოქალაქო განათლების კლუბი“, ჭადრაკის წრე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წრე.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ დაწესებულება მოსწავლეებს მათი სურვილის გათვალისწინებით სთავაზობდა მეორე უცხოურ ენას, რომელთა შორისაც იყო რუსული, ფრანგული და გერმანული ენები. ასევე, სკოლა მე-X-XII კლასებში მოსწავლეებს მათი ინტერესების მიხედვით, სთავაზობდა არჩევით საგანს. ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, ბიბლიოთეკაში იგეგმებოდა სხვადასხვა აქტივობა, რომელთა შორის იყო ლიტერატურული თამაშები, წიგნის კვირეულები, ვიქტორინები, ლიტერატურული დღესასწაულები, გამოფენები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან და სხვ.
ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, სკოლაში ფუნქციონირებდა ექვსი საგნობრივი კათედრა, რომელთა მუშაობის პრინციპები სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა. ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, კათედრების მუშაობისას მთავარი აქცენტი კეთდებოდა სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებზე, მოსწავლეების აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზზე, ურთიერთანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებაზე. სკოლა გეგმავდა მოსწავლეებისათვის კომპლექსური დავალებების შეთავაზებას. ექსპერტის თქმით, მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს წარმოდგენილი ჰქონდა თემატური მატრიცები და კომპლექსური დავალებები, რომელთა მიზანიც მოსწავლეთა სხვადასხვა შესაძლებლობის განვითარება იყო.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტი ,,ინკლუზიური განათლების პრინციპები“, რომელიც, მისი თქმით, მოიცავდა მნიშვნელოვან საკითხებს. სკოლას შემუშავებული ჰქონდა შეფასების მიზნები და წესი, რომელიც შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ექსპერტის განმარტებით, სკოლა სწავლა/სწავლების პროცესში პრიორიტეტად მიიჩნევდა განმავითარებელი შეფასების კომპონენტს მოსწავლეთა ინდივიდუალური განვითარების უზრუნველსაყოფად. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში შემუშავებული იყო მოსწავლის აკადემიური მიღწევის შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. სკოლა მშობელთა ჩართულობით გეგმავდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ღონისძიებებს ისეთ თემებზე, როგორებიც იყო მშობელთა როლი მოსწავლის განათლებასა და აღზრდაში, ეფექტური კომუნიკაცია შვილთან, ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე და სხვ.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით, შექმნილი ჰქონდა დოკუმენტი - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება განხორციელდებოდა ორ ეტაპად: პროგრამის

მიმდინარეობისა და პროგრამის დასრულების შემდგომ. ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, სკოლის მიერ, ასევე, შემუშავებული იყო კითხვარები, რომლებიც შეეხებოდა მასწავლებლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელებას, დაწესებულების რესურსების შეფასებასა და განვითარებას, მოსწავლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელებას.
ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, სკოლა განთავსებული იყო 1730 კვადრატულ მეტრზე. დაწესებულება იყო ორსართულიანი. ექსპერტის თქმით, გარე პერიმეტრის კონტროლს უზრუნველყოფდა რვა კამერა, ხოლო შიდა პერიმეტრს 9 კამერა. სკოლაში იყო 20 საკლასო ოთახი. სკოლა ფლობდა 350 მერხსა და სკამს. დაწესებულება, ასევე, ფლობდა 450 კვადრატული მეტრის ფართის მქონე დარბაზს სპორტული აქტივობების განხორციელების მიზნით. სკოლაში, ასევე, მოწყობილი იყო გასახდელი სივრცე და ღია სპორტული მოედანი.
ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა სამი ლაბორატორიული კაბინეტი, რომლებიც აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარით, კომპიუტერებითა და პროექტორებით. ასევე, კაბინეტები უზრუნველყოფილი იყო ბუნებრივი განათებით. ექსპერტის განცხადებით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები აკმაყოფილებდა კვლევების ჩატარებისათვის ყველა პირობას.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილი იყო ელექტროენერგიითა და ცენტრალური გათბობის სისტემით. მისი თქმით, სკოლაში მოქმედი ბიბლიოთეკა აერთიანებდა სამ სივრცეს, რომელთა შორის იყო სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკარის ოთახი და წიგნების საცავი. დაწესებულებას ჰყავდა ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებული იყო შესაბამისი ხელშეკრულება. ექსპერტის თქმით, სკოლის წიგნადი ფონდი შედგებოდა 2902 ერთეულისაგან. დაწესებულებას, ასევე, ჰქონდა ელექტრონული კატალოგი, რომელიც, განთავსებული იყო სკოლის ვებ-გვერდზე.
ექსპერტის განმარტებით, სკოლა ფლობდა ინტერნეტ ქსელში ჩართულ ოცდაათ კომპიუტერს. სკოლის მფლობელობაში იყო, ასევე, ექვსი ლეპტოპი და ხუთი პროექტორი. შენობაში განთავსებული იყო ცხრამეტი დამუხტული ცეცხლმაქრი და დამონტაჟებული იყო ხანძარსაწინააღმდეგო კვამლის აღმომჩენი დეტექტორები. ექსპერტით თქმით, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, სკოლას ჰყავდა ექთანი, თუმცა ექსპერტების ვიზიტის პერიოდში, დაწესებულებაში გამოცხადდა კონკურსი ექიმის პოზიციისთვის საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის 41/ნ ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად.
ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, რომელიც შესაბამისობაში იყო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 06/ნ ბრძანების მოთხოვნებთან. სკოლაში არსებობდა მანდატურის ოთახი, რომელშიც განთავსებული იყო მონიტორი, რომლის მეშვეობითაც მიმდინარეობდა ვიდეოკამერებზე მეთვალყურეობა.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ სკოლაში მუშაობდა 29 მასწავლებელი. ყველა მასწავლებელს ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი. ექსპერტის თქმით, სკოლას მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული უნივერსალური სწავლების ცენტრთან, რომელიც მოიცავდა სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგების ორგანიზებას. სკოლას ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული სოციალური ინოვაციებისა და მეწარმეობის ცენტრთან. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში სკოლაში იგეგმებოდა ტრენინგების ჩატარება მეწარმეობაზე, სოციალურ ინოვაციასა და სოციალურ მეწარმეობაზე. მემორანდუმები, ექსპერტის თქმით, ასევე, მიზნად ისახავდა, სამომავლოდ Erasmus+-ის გაცვლით პროგრამაში მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონაწილეობის მხარდაჭერას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან და საბჭოს წევრებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს დაეზუსტებინათ, როგორ შეუწყობდა ხელს დაწესებულება მოსწავლეებს სამეწარმეო უნარების განვითარებაში. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ მოსწავლეებში სამეწარმეო უნარების განვითარების მიზნით, სკოლა გეგმავდა სხვადასხვა პროექტზე მუშაობას, დაწესებულება ხელს შეუწყობდა მოსწავლეების კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, შესაძლებლობების ამოცნობის მხარდაჭერას და სხვ. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, თამარ ჯანგულაშვილმა, ასევე, განმარტა, რომ ისინი სამეწარმეო საკითხების ინტეგრირებას აპირებდნენ ისეთ საგნებში, როგორებიც იყო ,,მე და საზოგადოება“ და ,,ჩვენი საქართველო“, რომლებიც ისწავლებოდა დაწყებით კლასებში. მოსწავლეებში სამეწარმეო უნარების განვითარების მიზნით, სკოლა, ასევე, გეგმავდა ტრენინგებსა და კლუბურ აქტივობებს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს დაეზუსტებინათ, სკოლის ადგილმდებარეობა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ ეს იყო შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსის სამართალმემკვიდრე, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა ავტორიზაციაზე. აღნიშნული დაწესებულებისთვის ეს იყო პირველადი ავტორიზაცია და შესაბამისად, მოხდა მისი შეფასება ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფი იცნობდა შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსის ავტორიზაციის დასკვნას და შპს ედისონის სახელობის სკოლა ნოვაციამ წინა დაწესებულების შეფასების ფარგლებში არსებული ყველა ხარვეზი გამოასწორა და რეკომენდაციები გაითვალისწინა. სკოლის დირექტორმა, თამარ ჯანგულაშვილმა განაცხადა, რომ შპს ედისონის სახელობის სკოლა ნოვაცია ფლობდა შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. მისი თქმით, დაწესებულება წარმოდგენილი იყო განახლებული ადამიანური რესურსითა და პროგრამული ნაწილით.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, აპირებდა თუ არა სკოლა საკუთარი ვებ-გვერდის სრულად მომზადებას და წარმოდგენას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, თამარ ჯანგულაშვილმა განაცხადა, რომ სკოლა ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში განავითარებდა სკოლის ვებ-გვერდს, სადაც სრულად აისახებოდა ყველა საჭირო ინფორმაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 350 მოსწავლისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ედისონის სახელობის სკოლა ნოვაციის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ედისონის სახელობის სკოლა ნოვაციას (ს/კ: 406361299) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

3. შპს ოლიმპი თბილისი +-ის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და მაკა ჭიაბერაშვილმა. ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ ვიზიტი შპს ოლიმპი თბილისი +-ში განხორციელდა 2022 წლის 23 და 24 ივნისს. ექსპერტის განმარტებით, წინა ავტორიზაციის ფარგლებში დაწესებულებას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 500 მოსწავლით, ამჟამად კი სკოლაში ირიცხებოდა 435 მოსწავლე. დაწესებულება ითხოვდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 50-ით გაზრდას.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა სკოლის მატერიალური და ადამიანური რესურსების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან. გადამოწმების შედეგად, კი ექსპერტების მხრიდან დაფიქსირდა სტანდარტთან შეუსაბამობები და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაციები და გამოასწორა ხარვეზები, რომლის დამადასტურებლადაც დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია.
ხათუნა ბარაბაძის თქმით, სკოლას აღენიშნებოდა შეუსაბამობა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლას ადაპტირებული გარემოს შექმნისას არ ჰქონდა გათვალისწინებული 2014 წლის 6 იანვრის N41 ბრძანების მოთხოვნები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების ნორმატივების შესახებ. ხათუნა ბარაბაძის განმარტებით, დაწესებულებაში ადაპტირებული სველი წერტილი განკუთვნილი იყო მხოლოდ გოგონებისთვის. ამასთანავე, სველი წერტილის შესასვლელი კარი არ აკმაყოფილებდა ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ექსპერტის თქმით, აღნიშნული კარის გავლით ვერ გადაადგილდებოდა შშმ პირი. გარდა ამისა, ექსპერტმა დაამატა, რომ პანდუსებით მოწყობილი იყო სკოლის პირველი, მეორე და მესამე სართული, მეოთხე და მეხუთე სართულზე კი პანდუსები არ იყო განთავსებული. ასევე, ექსპერტის თქმით, მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით დაწესებულებას ჰქონდა მეორე შეუსაბამობა. კერძოდ, გარე პერიმეტრის მაკონტროლებელი ერთ-ერთი ვიდეო-კამერა იყო უფუნქციო და დერეფნებსა და მეოთხე და მეხუთე სართულების დამაკავშირებელ კიბის უჯრედებში დაფიქსირდა არასაკმარისი კამერების არსებობა. ექსპერტებმა ხარვეზების გამოსასწორებლად გასცეს

რეკომენდაციები. ექსპერტის თქმით, სკოლამ გამოასწორა აღნიშნული ხარვეზები და გაითვალიწინა ექსპერტების მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია.
ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ სკოლაში მუშაობდა 49 მასწავლებელი. მათგან კი რამდენიმე მასწავლებელი არ იყო აყვანილი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N174/ნ ბრძანებით გათვალიწინებული მოთხოვნების შესაბამისად. ექსპერტის თქმით, 23 ივნისის დირექტორის N717 ბრძანების საფუძველზე, სკოლამ გამოაცხადა ვაკანსია, რა დროსაც გაითვალისწინა ექსპერტების მიერ სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით გაცემული რეკომენდაცია. ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმე არ იყო წარმოდგენილი სრულყოფილად, კერძოდ, პირად საქმეებში არ მოიძებნა პირის ნასამართლეობისა და სქესსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ცნობები. ექსპერტის თქმით, სკოლამ აღნიშნული ხარვეზიც გამოასწორა.
ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ სკოლაში მე-XII კლასის მოსწავლეებთან ტარდებოდა ინდივიდუალური გაკვეთილები, რაც ექსპერტმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკად დაასახელა. ექსპერტის თქმით, სკოლას, ასევე, ჰქონდა საცურაო აუზი, სადაც ხორციელდებოდა ცურვის პროგრამა, საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად. დაწესებულება, ასევე, ფლობდა სპორტული კომპლექსს, რომელიც აერთიანდებდა, როგორც საცურაო აუზის სივრცეს, ასევე, სპორტულ მოედნებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ოლიმპი თბილისი +-ის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 550-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს ოლიმპი თბილისი +-ს (ს/კ.: 200240122) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 550 მოსწავლით.

4. შპს პეგასის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და თამარ ჩხიკვაძემ. ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, 1145 კვადრატული მეტრის შენობა-ნაგებობაში, რომელთანაც დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება ექვსი წლის ვადით. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლისთვის გამოყოფილი იყო 943 კვადრატული მეტრი, ხოლო დანარჩენ ფართში განთავსებული იყო საბავშვო ბაღი. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა იზოლირებული შესასვლელი და ასევე, სათადარიგო გასასვლელი. ექსპერტების მიერ შემოწმდა 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, სკოლის სასწავლო კალენდარი, არდადეგები და ოფიციალური დასვენების დღეები ითვალისწინებდა კანონით დადგენილ ნორმებს. საათობრივი ბადე კი მოიცავდა ყველა სავალდებულო საგნის სწავლებას, რაც გათვალსწინებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმით. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო მომსახურების სახით სკოლამ გასულ სასწავლო წელს მოსწავლეებს შესთავაზა ქართული ენა და ლიტერატურა, რომელიც ისწავლებოდა მე-XI კლასში, ინგლისური ენა და ლიტერატურა - I-XII კლასებში, მე-VI კლასში დამატებითი სავალდებულო საგანი იყო მათემატიკა. ექსპერტმა აქვე დაამატა, რომ ყველა დამატებით სავალდებულო საგანთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა საგნების სწავლების მიზნები და მისაღწევი შედეგები. დადგინდა, რომ აღნიშნული საგნები გაძლიერებულ სწავლებას ემსახურებოდა, შესაბამისად ექსპერტების მხრიდან გაიცა რჩევა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან, მსგავსი საგნების სწავლებისთვის საათობრივი დატვირთვა გაეზარდა სკოლას და გამოეყენებინა საათობრივი ბადის მესამე მოდელი. ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის თქმით, სკოლას დაწყებული ჰქონდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. კერძოდ, კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი. ექსპერტების მოსაზრებით აღნიშნული საჭიროებდა შემდგომ გაუმჯობესებას. ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლას ექსპერტების მხრიდან მიეცა რჩევები, მომავალი სასწავლო წლიდან მონაწილეობა მიეღო ეროვნული სასწავლო გეგმის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ ვებინარებსა და სამუშაო შეხვედრებში. ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, შეფასების სისტემა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლამ წარმოადგინა შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, თითოეულს ახლდა შეფასების რუბრიკები და ანალიზი, რომლებიც წარმოდგენილი იყო სპეციალურ ფორმებში. ფორმების დამტკიცება კი ხდებოდა პედაგოგიურ საბჭოზე. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში ასევე, შემუშავებელი იყო განმავითარებელი შეფასების ფორმები საგნების მიხედვით. ექსპერტების მიერ შემოწმების შედეგად, დადგინდა, რომ მასწავლებლების მიერ გაცემული განმავითარებელი კომენტარები უმეტესად იყო ზოგადი ხასიათის და მთელ კლასზე გათვლილი, რაც არ იძლეოდა ზუსტ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ იქნა გამოყენებული ანალიზის შედეგები სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად კონკრეტული მოსწავლისთვის. ექსპერტთა მხრიდან, დირექციას და მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ შემაჯამებელი დავალებების ანალიზის პროცესში დაესახათ კონკრეტულ მოსწავლეზე ორიენტირებული ნაბიჯები, დავალებები და შესაბამისი განმავითარებელი უკუკავშირი. ქეთევან ბოტკოველის თქმით, სკოლაში შექმნილი იყო დოკუმენტი ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების შესახებ. დაწესებულებაში სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ფუნქციონირებდა ჯგუფი, რომელიც აწარმოებდა სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგს და ზრუნავდა მის გაუმჯობესებაზე. ექსპერტის განმარტებით, მონიტორინგის ჯგუფში შედიოდნენ დირექტორი, დირექტორის მოადგილეები და ხარისხის მართვის მენეჯერი. მონიტორინგის ჯგუფის არსებობის მიზანი კი იყო მასწავლებლების, კათედრების თავმჯდომარეების, დამრიგებლების მუშაობის შეფასება და საგნობრივი

სტანდარტების მიღწევის ანალიზი. ქეთევან ბოტკოველმა დაამატა, რომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ამსახველი დოკუმენტები. თუმცა, ექსპერტის თქმით, სკოლამ ვერ წარმოადგინა მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის საბოლოო ანგარიში, რასთან დაკავშირებითაც, ექსპერტთა მხრიდან, გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია, რომ შეემუშავებინათ მეთოდოლოგია სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების შესახებ, სადაც გაწერილი იქნებოდა ყველა ის ნაბიჯი, რომელიც უნდა განეხორციელებინა სკოლას. დირექციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლა ატარებდა, მშობლების, მოსწავლეების და მასწავლებლების გამოკითხვას. შემუშავებული იყო კითხვარები, რომელსაც გაეცნენ ექსპერტები და მათი მხრიდან გაიცა რეკომენდაციაც. ქეთევან ბოტკოველის თქმით, კითხვარები იყო ზოგადი ხასიათის და სასურველი იყო მეტად დეტალური კითხვების არსებობა.

ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, სკოლაში განთავსებული იყო 16 აუდიტორია, მათ შორის 14 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა და სპორტული დარბაზი (68 კვ. მ.). სპორტული აქტივობებისთვის მოსწავლეები სარგებლობდნენ იქვე მდებარე პარკით, სადაც ტარდებოდა ფეხბურთის, კალათბურთის ტურნირები, ხოლო მაგიდის ჩოგბურთის ტურნირები ტარდებოდა სკოლის სპორტულ დარბაზში, სადაც განთავსბეული იყო მაგიდა და შვედური კედელი. ექპსერტების მხრიდან გაიცა რჩევა, რომ სკოლას გაეფორმებინა იჯარის ხელშეკრულება, ან მემორანდუმის სახით მიცემოდათ მოსწავლეებს საშუალება სხვადასხვა სპროტული აქტივობები განეხორციელებინათ იქვე მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სპორტულ დარბაზთან. ქეთევან ბოტკოველის აღწერით, სკოლაში იყო ერთი საბუნებისმეტყველო კაბინეტი, სადაც განთვასებული იყო ქიმია-ფიზიკის და ბიოლოგიის კაბინეტები. ბიბლიოთეკა განთავსებული იყო სკოლის მეორე სართულზე, სადაც დაცული იყო 1096 წიგნი. არსებობდა ელექტრონული კატალოგიც და ბიბლიოთეკარს შემუშავებული ჰქონდა სამოქმედო გეგმა, რომელიც ხორციელდებოდა მასწავლებლებთან ერთად თანამშრომლობით. ექსპერტის თქმით, ბიბლიოთეკა აღჭურვილი იყო ხის თაროებით და იდგა ერთი კომპიუტერი. ბიბლიოთეკაში შესაძლებელი იყო 8-10 მოსწავლის განთავსება. ქეთევან ბოტკოველის თქმით, სასწავლო გეგმის და საკვლევი მიზნების განსახორციელებლად სკოლას ჰქონდა ინტერნეტში ჩართული 16 კომპიუტერი, ერთ-ერთი განთავსებული იყო ბიბლიოთეკაში, ერთი კი დირექტორის კაბინეტში. ყველა მათგანი იყო მუშა მდგომარეობაში, თუმცა ექსპერტებმა ჩათვალეს რომ საჭირო იყო მათი განახლება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ვებ-გვერდი ასრულებდა საკომუნიკაციო ფუნქციას, თუმცა სიახლეები იყო გაბნეული, არ იყო ცალკე გამოყოფილი ველი. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა, რომ ვებ-გვერდზე დამატებულიყო სიახლეების შესახებ ველი. ქეთევან ბოტკოველის თქმით, სკოლაში შემუშავებული იყო ხანძარსაწინააღმდეგო და პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები. დაწესებულებას ჰქონდა სამედიცინო ოთახი, რომელიც აღჭურვილი იყო კანონმდებლობის შესაბამისი ინვენტარით. სკოლას ჰყავდა ექთანი და არა ექიმი. ექსპერტების ვიზიტის დროს გამოცხადდა ვაკანსია. ექსპერტის განმარტებით, სკოლაში განთავსებული იყო 6 ცეცხლმაქრი. 4 კამერა აკონტროლებდა გარე პერიმეტრს, ხოლო 5 სკოლის შიდა პერიმეტრს. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში ასევე, მოხდა სკოლის უკანა ფასადზე კამერის დამონტაჟება, იქ სადაც სათადარიგო გასასვლელი ჰქონდა სკოლას. შენობის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული იყო საევაკუაციო გეგმები, რომლებიც შემუშავებული იყო 2016 წელს, შესაბამისად, ექსპერტთა მხრიდან, გაიცა რჩევა, რომ განახლებულიყო და დამტკიცებულიყო შესაბამისი ორგანოს მიერ აღნიშნული გეგმები. ექსპერტის თქმით, შემუშავებული იყო შინაგანაწესი და სხვადასხვა პოზიციების სამუშაო აღწერილობები. ექსპერტმა აქვე დაამატა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა 2016-2022 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების და ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები. სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებს ჰქონდათ საერთო პრობლემები, რასთან დაკავშირებითაც, ექსპერტთა მხრიდან გაიცა რჩევა, რომ შემუშავებულიყო ფორმა, სამოქმედო გეგმის ჩარჩო, რომელიც ასახავდა სკოლის გრძელვადიან მიზნებს, ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებს, ვადებს და პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციას.

ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 172 მოსწავლე, ხოლო მათ ემსახურებოდა 31 მასწავლებელი. 20 პედაგოგი იყო უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე, ერთი წამყვანი, 4 მაძიებელი, 2 მოწვეული, ხოლო 4 უსტატუსო. უსტატუსო პედაგოგები ვიზიტის პერიოდში ემზადებოდნენ საგნობრივი კომპეტენციის დასადასტურებლად. ექსპერტის თქმით, სკოლამ წარმოადგინა გამოცდაზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. 2 მასწავლებელი კი ივლისში ასრულებდა მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას. ქეთევან ბოტკოველმა დაამატა, რომ მასწავლებელთა შერჩევის წესი რეგულირდებოდა სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, ცხადდებოდა კონკურსი, რომელიც ქვეყნდებოდა teachers.jobs.ge-ზე. პირადი საქმეების შესწავლისას დადასტურდა, რომ ხელშეკრულებები ყველასთან იყო გაფორმებული და ამასთან ერთად წარმოდგენილი იყო ნასამართლეობის და სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შესახებ ცნობები. ასევე, ექსპერტმა განმარტა, რომ წარმოდგენილი იყო დოკუმენტები პერსონალის პროფესიული განვითარების შესახებაც, სადაც დასახული იყო მიზნები, ამოცანები და სამოქმედო გეგმა. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლა იყო განვითარებაზე ორიენტირებული.

ექსპერტმა, თამარ ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა ექსპერტების მიერ გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების შესრულება, ნაწილის შესრულებას კი გეგმავდა მომავალი სასწავლოს წლის დაწყებისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან და საბჭოს წევრებთან.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა დაწესებულების მისიით, სადაც იყო ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სკოლის მისია იყო სრულყოფილი პიროვნების აღზრდა. საბჭოს წევრის თქმით, ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში აღნიშნულთან დაკავშირებითაც გასცეს რჩევა, რომელიც მოიცავდა „სრულყოფილებისკენ სწრაფვის“ ჩანაწერს მისიაში. ასევე, მისი თქმით, მისიაში იყო ჩანაწერი, რომ სკოლას უნდა შეეწყო ხელი მოსწავლეებში ქვეყნის რელიგიის გაღვივებასა და განვითარებას. საბჭოს წევრის აზრით, იკვეთებოდა პუნქტუაციური შეცდომა და გამოყოფილიყო უნდა ყოფილიყო ქვეყანა და რელიგია ერთმანეთისგან. ამავდროულად, შალვა მეკრავიშვილმა აღნიშნა, რომ ვებ-გვერდზე და ექსპერტთა დასკვნაში სხვადასხვა მისია იყო დაწერილი. ექსპერტების თქმით, სკოლა უკვე მუშაობდა მისიის შეცვლისა და დაზუსტების საკითხზე. სკოლის წარმომადგენელმა, დემურ ავალიანმა განმარტა, რომ ვებ-გვერდი მუშავდებოდა და იყო ტექნიკური ხარვეზები. ასევე, დაეთანხმა საბჭოს წევრის მოსაზრებას პუნქტუაციურ შეცდომასთან დაკავშირებით და დაამატა, რომ აღნიშნული ხარვეზი გასწორდებოდა შინაარსის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 230 მოსწავლისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პეგასის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 230-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს პეგასს (ს/კ: 202242297) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 230 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

5. შპს ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ განაცხადა, რომ შპს ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვასთან მიმართებით ჰქონდა თვითაცილება, რადგან მას შრომითი ურთიერთობა აკავშირებდა დაწესებულებასთან. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და ირმა ხუციშვილმა. ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 21 და 22 ივნისს. ვიზიტის მიზანი იყო ავტორიზაციის პირობების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტის თქმით, განაცხადში ასევე წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდის მოთხოვნა. ექსპერტის განმარტებით, ევროპული სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, ირინე სხირტლაძის ქუჩაზე, N2-ში. ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, სკოლის საერთო ფართი იყო 16310 მ². სკოლის შენობას ჰქონდა 6 სართული, სადაც განთავსებული იყო 64 საკლასო ოთახი, 2 ადმინისტრაციული ოთახი, 2 სპორტული დარბაზი, ფეხბურთის მოედანი, ჩოგბურთის ღია კორტები, საკონფერენციო ოთახი, ორი ბიბლიოთეკა, სამი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ლეგოს და სმარტის კლასები, მაკ ლაბორატორიის კლასი, კომპიუტერებით და დანადგარებით აღჭურვილი ოთახი Fablab-ი, 4 კომპიუტერული კლასი, 3 ხელოვნების სტუდია, ერთი ტიპოგრაფია, სკოლის TV სტუდია, 2 მუსიკის ოთახი, 6 გამოსაცვლელი ოთახი მოსწავლეებისთვის და თანამშრომლებისთვის, ინგლისური კლუბის ოთახი, მულტიმედია ლაბორატორია, ლოგოპედის ოთახი, ფსიქოლოგის და სამედიცინო კაბინეტები. ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის განმარტებით, საკლასო ოთახები იყო კეთილმოწყობილი და მათში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა საკლასო ოთახში იყო სმარტ-დაფა, რაც პანდემიის დროს ამარტივებდა ჰიბრიდული რეჟიმით სწავლის პროცესს. ექსპერტის თქმით, სკოლა მუშაობდა შეუფერხებლად პანდემიის პირობებშიც. ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, დაწესებულებაში არსებული მერხები და შესაბამისი ინვენტარი აკმაყოფილებდა მოსწავლეთა

ასაკობრივ მოთხოვნებს. მისივე განმარტებით, საკლასო ოთახებში გამოკრული იყო სხვადასხვა თვალსაჩინოებები: რუკები, პოსტერები, მოსწავლეთა ნამუშევრები. ექსპერტის განცხადებით, სკოლას ჰქონდა 1377 ინდივიდუალური მერხი და სკამი. დაწესებულება ავტორიზაციის რეჟიმში ახორციელებდა ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამას და ასევე, აკრედიტებული პროგრამას High School-ი, სადაც 1000-მდე მოსწავლე სწავლობდა. ექსპერტის განმარტებით, სკოლა უზრუნველყოფდა მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. ხათუნა ბარაბაძის თქმით, სკოლა ხელს უწყობდა მოსწავლეების საკუთარი აზრი გამოეხატათ თავისუფლად და განევითარებინათ მათში კრიტიკული აზროვნება. ასევე, დაწესებულება მომავლის პროფესიებისთვის ამზადებდა მოსწავლეებს. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, დაწესებულებას ჰქონდა სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიები, რომლებიც განკუთვნილი იყო საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებისთვის. მათ ასევე ჰქონდათ Smart kids ლაბორატორია, რომელიც განკუთვნილი იყო დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის. ექსპერტის განცხადებით, სკოლას ჰქონდა დამატებითი სივრცეები, სადაც მოსწავლეებს გამოჰყავდათ სხვადასხვა ჩითილები და ყვავილები.

ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის თქმით, სკოლაში იყო პროგრამირებადი დანადგარებით სავსე Fablab-ი, რომელიც აღჭურვილი იყო 3D პრინტერით, ინდუსტრიული რობოტის ხელით, პროგრამირებადი ჩარხით, ეკოსოვენტური პრინტერით, ლაზერული მჭრელით, ვაკუუმ ფორმირების აპარატით, ციფრული საქარგავი და საკერავი აპარატით, სადაც მოსწავლეები მუშაობდნენ პრაქტიკულად და მათი საქმიანობა ინტეგრირებული იყო საგანმანათლებლო პროგრამებთან. ექსპერტის განცხადებით, მოსწავლეები თავად ქმნიდნენ პროდუქტს ლაბორატორიებში და მისივე თქმით, ექსპერტებმა ნახეს მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები.

ექსპერტის განმარტებით, სკოლა სრულად იყო ჩართული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში. ყველა მოსწავლე საბაზო და საშუალო საფეხურზე ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო სხვადასხვა პროექტში და პროექტული მუშაობით წარემართა თავისი საქმიანობა.

ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, ევროპული სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლებოდა ჩათვლილიყო სკოლაში მომუშავე ციფრული ტრანსფორმაციის კომიტეტი. სკოლა ორიენტირებული იყო ყველა მასწავლებლისთვის პანდემიის პირობებში გაეწია პროფესიული დახმარება, დაწესებულებამ მოსწავლეებს შეუძინა სპეციალური მოწყობილებები, რისი საშუალებითაც მათ შეეძლოთ დავალებების ონლაინ რეჟიმში გადაგზავნა. სკოლა ასევე უზრუნველყოფდა ახალი მოსწავლეების მშობლების პროფესიულ განვითრებასაც, დაწესებულება მათ უტარებდა ტრენინგებს, თუ როგორ გამოეყენებინათ ელექტრონული ჟურნალი.

ექსპერტის თქმით, ციფრული ტრანსფორმაციის კომიტეტში გაერთიანებული იყო დაწესებულების ადმინისტრაცია და IT-ჯგუფის წარმომადგენლები, კომიტეტის მუშაობა სამი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობდა: ტექნოლოგიების დანერგვა სასწავლო პროცესში, პედაგოგთა უწყვეტი პროფესიული განვითარება და ინფრასტრუქტურა/ უსაფრთხოება. ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, სკოლაში აქტიურად იყენებდნენ არაფორამლური განათლების მეთოდებს. საკლასო ოთახებში იყო რობოტები, რომლებიც საუბრობდნენ. მოსწავლეები თავად აპროგრამირებდნენ რობოტებს და ქმნიდნენ ხელოვნურ ინტელექტს. გარდა IT ტექნოლოგიებისა, სკოლაში ასევე, ფუნქციონირებდა სრულყოფილად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მოწესრიგებული. ექსპერტის განცხადებით, ბიბლიოთეკაში მუშაობდა 3 ადამიანი, რომლებიც ასრულებდნენ ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობებს. ბიბლიოთეკარები ერთობლივად გეგმავდნენ და ახორციელებდნენ სხვადასხვა აქტივობას.

ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ ფსიქოლოგი ყოველკვირეულად ატარებდა შეხვედრებს მოსწავლეებთან, ჰქონდა მშობლებთან კომუნიკაცია, ასევე, კლასებში ტარდებოდა ფსიქოლოგის საათი. მისი განცხადებით, ვებ-გვერდი იყო გამართული და ასრულებდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. სკოლა მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო პროექტებშიც.
ექსპერტის განცხადებით, ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტთა მხრიდან, გაიცა სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაცია. დაწესებულებას რამდენიმე მასწავლებელთან არ ჰქონდა საქართველოს განათალების და მეცნიერების მინისტრის N174-ე ბრძანების შესაბამისად გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. ექსპერტის განმარტებით, შპს ევროპულმა სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე განახორციელა ცვლილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა ზრუნავდა მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა 7 დეპარტამენტი. ექსპერტებმა, ასევე, გასცეს რეკომენდაცია, რომ ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტისგან ცალკე გამოყოფილიყო ქართული ენისა და უცხოური ენების კათედრები. ექსპერტებმა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გაცნობის მიზნით შეისწავლეს დოკუმენტაცია, სადაც დაფიქსირდა გასაუმჯობესებელი მხარეები. ხათუნა ბარაბაძის თქმით, სკოლა მზად იყო თანამშრომლობისთვის. ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ სკოლა 1-12 კლასებში ეხმარებოდნენ მოსწავლეებს კარიერული წინსვლის დაგეგმარებაში. მისი თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა ამ მიმართულების განმახორციელებელი დეპარტამენტი. ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ სკოლის გვერდით შენდებოდა ახალი ნაგებობა განახლებული ინფრასტრუქტურით, რომელიც განკუთვნილი იქნებოდა უცხო ენოვანი სექტორის მოსწავლეებისთვის, ხოლო ახლანდელ შენობაში განთავსდებოდა მხოლოდ ქართული სექტორი.
ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, სკოლა სრულად აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სამივე სტანდარტს.
ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა აღნიშნა, რომ ევროპულ სკოლაში თითოეული მასწავლებელი ორიენტირებული იყო მოსწავლეების ინტერესებისა და უნარების განვითარებაზე. ექსპერტის თქმით, მოსწავლეებს ჰქონდათ კარგი შედეგები როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პროექტებში.
დაწესებულების დირექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ვიზიტის ფარგლებში კონსტრუქციული და თანამშრომლობითი გარემოს შექმნისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 1200 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპული სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ევროპული სკოლას (ს/კ: 205172917) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული და ინგლისური ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:35 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა